ოქმი:**ო63. 6324065001**
თარიღი:**07/03/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N4

ქ.სამტრედია 28 თებერვალი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 28 თებერვალს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი - ვაჟა სტურუა.

დღის წესრიგი:

1. სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის N MES 1 24 0000185196 წერილობითი მომართვის განხილვა.

   /მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე თემატური მოკვლევის ანგარიშის შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

3. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი

უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (10) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის N MES 1 24 0000185196 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხებოდა სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლისთვის ანდრია რაზმაძის სახელის მინიჭებას.

ირაკლი მელაშვილი - გაგაცნობთ სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის N MES 1 24 0000185196 წერილობითი მომართვას, სადაც ისინი თხოვნით მოგვმართავენ მიეცეთ თანხმობა, სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლას, მიენიჭოს ქართველი მათემატიკოსის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ–ერთი დამაარსებლის ანდრია რაზმაძის სახელი.

გიორგი ლეჟავა - ანდრია რაზმაძე იყო მსოფლიო დონის მეცნიერი, უდიდესი მათემატიკოსი. მხარს ვუჭერ ზემოაღნიშნულს.

ვაჟა სტურუა - მისასალმებელი იქნება თუ ახლადრეაბილიტირებულ ჩხენიშის სკოლას მიენიჭება ამავე სოფელში დაბადებული, დიდი მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის სახელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ზემოაღნიშნულს ერთხმად უჭერენ მხარს.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ეთანხმება მიეცეს თანხმობა, სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლას, მიენიჭოს ქართველი მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის სახელი.

.

<u>დღის წესრიგის I I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე თემატური მოკვლევის ანგარიშის შესახებ.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა შეიმუშავა თემატური მოკვლევის ანგარიში - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე.

მოკვლევა მომზადდა საქართველოში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

ანგარიში მოიცავს დარგში არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებსა და მათ საპასუხო რეკომენდაციებს შესაბამისი ორგანოების მისამართით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობის მიზნით, წარმოგიდგენთ თემატური მოკვლევის საბოლოო ანგარიშს.

(ოქმს თან ახლავს დანართი 41 ფურცლად)

კომისიის წევრებმა მოისმინეს და ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი